შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი #1

ქ. თბილისი 04 მაისი 2016 წელი

2016 წლის 04 მაისს შედგა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო კომისიის სხდომა

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე:

უკლება მაია - გთსუ-ის რექტორის მოადგილე, პროფესორი.

კომისიის წევრები:

1. ხუჭუა ვაჟა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი.
2. ფიცხელაური შენგელი - გთსუ-ის სამართლის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.
3. ვეკუა მარინე - გთსუ-ის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.
4. ალადაშვილი გელა - გთსუ - ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

კომისიის მდივანი:

დევდარიანი ქეთევანი - (ხმის უფლების გარეშე) გთსუ-ის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი:

1. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა. /მომხსენებელი, პროფ. მაია უკლება, კომისიის თავმჯდომარე/
2. კონკურსანტებთან გასაუბრება.

მოისმინეს:

პროფესორ მაია უკლებას ინფორმაცია, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თაობაზე.

პროფ. მაია უკლებამ აღნიშნა, რომ გთსუ-ის რექტორის მიერ 2016 წლის 14 მარტის გამოცემული ბრძანების (#01-01/12) საფუძველზე გამოცხადდა კონკურსი. ბრძანებით განისაზღვრა განაცხადებების წარმოდგენის ვადები 2016 წლის 18 აპრილიდან 2016 წლის 28 აპრილის ჩათვლით. კონკურსის დღე - 2016 წლის 04 მაისს, სააპელაციო ვადა - 3 დღე, საბოლოო შედეგები 2016 წლის 11 მაისს, (ინფორმაცია განთავსებული იყო ვებ-გვერდზე და საქართველოს პერიოდულ პრესაში - გაზეთი „ახალი განათლება“ 17.03.2016წ.- 23.03.2016წ.)

კონკურსის საფუძველზე უნივერსიტეტში ასარჩევი აკადემიური პერსონალის რაოდენობა განისაზღვრა 2 კაცით (კერძო სამართლის კათედრა - 1 პროფესორი და 1 ასოცირებული პროფესორი), კონკურსში მონაწილეობისათვის დოკუმენტაცია წარმოადგინა 2 კანდიდატმა.

კანდიდატების დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნა ვადების დაცვით.

საკონკურსო მოთხოვნები და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა განსაზღვრული იყო ზემოაღნიშნული ბრძანებით და განთავსებული იყო ვებ-გვერდზე, რაც ინფორმაციას საჯაროსა და ხელმისაწვდომს ხდიდა აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთათვის.

გასაუბრებაზე გამოცხადდა 2 კანდიდატი.

კომისიის თავმჯდომარემ, მაია უკლებამ კომისიის წევრებს გააცნო კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მისი შესაბამისობა მოთხოვნებთან, კერძოდ:

1. **ბ-ნი რომან შენგელია,** რომელმაც კანდიდატურა წარმოადგინა სამართლის ფაკულტეტზე (კერძო სამართლის კათედრა) პროფესორის თანამდებობაზე. კომისიის თავმჯდომარემ გააცნო წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ისაუბრა მის სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაზე. ბატონი რომანი 1968 წლიდან მუშაობდა თსუ-ს სამოქალაქო სამართლის კათედრაზე მასწავლებლად, დოცენტად, პროფესორად, კათედრის გამგედ, იურიდიული ფაკულტეტის დეკანად. 2006 წლიდან მუშაობდა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტში კერძო სამართლის კათედრის გამგედ და პროფესორად, ხოლო შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში 2009 წლიდან დღემდე კერძო სამართლის კათედრის გამგედ და პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე . ბ-ნი რომანი დაჯილდოებული გახლავთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსის აკადემიური წოდებით. მას გამოქვეყნებული აქვს ასზე მეტი შრომა, მათ შორის 25 წიგნი, ორმოცამდე წიგნის რედაქტორი, გააჩნია პროფესორის სამეცნიერო წოდება, მისი ხელმძღვანელობით მომზადდა და დაცულ იქნა ათეულობით დისერტაცია სამეცნიერო და აკადემიური

ხარისხების მოსაპოვებლად. წლების მანძილზე გახლდათ საქართველოში იურიდიულ მეცნიერებათა სფეროში სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი ერთადერთი საბჭოს წევრი და ბოლოს თავმჯდომარე. ლექციებს კითხულობა ბერლინის, პარიზის, სოფიის, სალამანკას და ვაშინგტონის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტებში. იგი ასევე გახლავთ: 1995 წლის კონსტიტუციისა და 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის შემმუშავებელი სახელმწიფო კომისიების წევრი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარების ექვსტომეულის მნიშვნელოვანი ნაწილის ავტორი და სარედაქციო კოლეგიის, აგრეთვე სამართლებრივი პროფილის რამდენიმე საერთაშორისო და რეფერირებადი ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი. ბ-ნი რომანი აქტიური სამეცნიერო, პედაგოგიური აღმზრდელობითი საქმიანობისათვის დაჯილდოებული გახლავთ ღირსების ორდენით, ივანე ჯავახიშვილისა და ფილიპე გოგიჩაიშვილების მედლებით. დოკუმენტაცია სრულყოფილია, მასში მოცემული ინფორმაცია კი რელევანტური. მისი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება შეესაბამება დასაკავებელ თანამდებობას.

კონკურსანტს დაესვა კითხვები უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს, მის მიერ წარმოდგენილი სილაბუსებისა და დისციპლინების სწავლების კონცეფციის (ბაკალავრიატსა და მაგისტრატურის დონეების მიხედვით) თაობაზე, ასევე სწავლის თანამედროვე მეთოდებზე. მისი პასუხები დადებითად შეფასდა.

2. **ბ-ნი დავით სუხიტაშვილი,** რომელმაც კანდიდატურა წარმოადგინა სამართლის ფაკულტეტზე (კერძო სამართლის კათედრა) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე. კომისიის თავმჯდომარემ გააცნო წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ისაუბრა მის სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაზე. ბატონი დავითი 1973 წლიდან მუშაობდა ადვოკატად, შემდგომში თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ, მოსამართლედ. სხვადასხვა წლებში მოღვაწეობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში -„გორგასალი“. 2012 წლიდან დღემდე ბ-ნი დავითი გახლავთ შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. მას გამოქვეყნებული აქვს ათობით სამეცნიერო პუბლიკაცია. დოკუმენტაცია სრულყოფილია, მასში მოცემული ინფორმაცია კი სანდო. მისი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება შეესაბამება დასაკავებელ თანამდებობას.

კონკურსანტს დაესვა კითხვები უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს, მის მიერ წარმოდგენილი სილაბუსებისა და დისციპლინების სწავლების კონცეფციის (ბაკალავრიატსა და მაგისტრატურის დონეების მიხედვით) თაობაზე, ასევე სწავლის თანამედროვე მეთოდებზე. მისი პასუხები დადებითად შეფასდა.

კანდიდატებთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა.

კანდიდატების საკითხი გატანილ იქნა კენჭისყრაზე, რის შედეგადაც კომისიის წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება და

დაადგინეს:

1. არჩეულ იქნეს შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე (უვადოდ) და ასოცირებული პროფესორის 4 (ოთხი) წლის ვადით შემდეგი კონკურსანტები:

სამართლის ფაკულტეტი

<u>**კერძო სამართლის კათედრა:**</u>

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე:
რომან შენგელია

ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:
დავით სუხიტაშვილი

2. აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ გვერდზე;

3. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიაში;

4. სააპელაციო ვადა განისაზღვროს სამი სამუშაო დღით კონკურსის ჩატარებიდან; (05, 06, 10 მაისი)

5. კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2016 წლის 11 მაისს.

კომისიის თავმჯდომარე:	პროფ. მაია უკლება
კომისიის წევრები:	პროფ. ვაჟა ხუჭუა
	პროფ. შენგელი ფიცხელაური
	პროფ. მარინე ვეკუა
	პროფ. გელა ალადაშვილი
მდივანი:	ქეთევან დევდარიანი